

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 17

ქ.თბილისი

2017 წლის 4 მაისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 4 მაისს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, სულხან სულხანიშვილი, ვახტანგ სამხარაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა და მატჩის მეთვალყურის დ. ცხვედიანის ოქმი, მოხსენებითი ბარათი, ამა წლის 30 აპრილს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის კალენდარულ მატჩზე თბ „ყოჩები“-სა და თბ „ივერიას“ შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბ „ყოჩები“-ს მორაგბე დიმიტრი ხურცილავა, თამაშის მსვლელობისას მსაჯის ნებართვის გარეშე შევიდა სათამაშო მოედანზე წარმოქმნილ კონფლიქტში მონაწილეობის მიზნით.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.9, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი N 1-ის 2.9 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბ „ყოჩები“-ს მორაგბე დ. ხურცილავა დისკვალიფიცირებული იქნას 1(ერთი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 100 (ასი) ლარით.

2 კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.9 პუნქტი და კლუბ თბ „ყოჩებს“, ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/